ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №02
2013 წლის 30 იანვარი

დაბა ლენტეხი

„ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 3 იანვრის №-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

„ნორმატიული აქტების შესახებ“საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

1. „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 3 იანვრის №-31 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge ,04/01/2013;010250020.35.115.016097) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დადგენილების მიღების თარიღში სიტყვები: „2013 წლის 3 იანვარი“ შეიცვალოს სიტყვებით: „2012 წლის 31 დეკემბერი“.
2. შევიდეს ცვლილება დადგენილების №1 დანართში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

თანამდებობის დასახელება	**თანამდებობრივი სარგო**
საკრებულო	
საკრებულოს თავმჯდომარე	2250
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1300
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	900
საკრებულოს აპარატის უფროსი	800
გამგეობა	
გამგებელი	2250
გამგებლის მოადგილე	900
გამგეობის სამსახურის უფროსი	800
გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	500
გამგებლის თანაშემწე	500
ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი - თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული რცხმელურის, ცანა-ზესხოს ხოფურისა და ჩოლურის თემებში	

	700
ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი - თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული ხელედის, ლენტეხის, ჟახუნდრისა და ჩიხარეშის თემებში	800
უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	
საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი	450
საკრებულოს აპარატის სპეციალისტი	400
გამგეობის მთავარი სპეციალისტი	450
გამგეობის სპეციალისტი	400
მძღოლი	400
დამლაგებელი	200
დარაჯი	200
ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი	300
ტერიტორიული ორგანოს დამხმარე სპეციალისტი	200
სპეციალისტი - საგანგებო სიტუაციების სამსახურის რაზმის უფროსი	300
დამხმარე სპეციალისტი - საგანგებო სიტუაციების სამსახურის მაშველი	280

მუხლი 2
დადგენილება ძალაშია 2013 წლის 1 იანვრიდან.
მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ვალოდია ქურასბედიანი**